N 6014/09 07/04/2023

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №184/2023

ქ. თბილისი

ერთი მხრივ სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორე მხრივ, ფ.პ. ვასილ ჯალიაშვილი - პ/ნ 01001023827 (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5. „შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.6. „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ-სურსათის ეროვნული სააგენტოს **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიოუსაფრთხოების პუნქტის სარემონტრო სამუშაოების** (CPV:45442180) **შესყიდვა**.

2.2. მოსაწოდებელი სამუშაოების დასახელება, მოცულობა და ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1**-ში

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს**1,020.40 ₾ (ათას ოცი ლარი და ორმოცი თეთრი)**, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა **სახელმწიფო ქვეპროგრამა - „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა".**

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მიწოდებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით.

4.4. მიმწოდებელი ვალდებულია: მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან **2023 წლის 30 აპრილის** ჩათვლით.

5. სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფაქტობრივად მოწოდებულ სამუშაოებზე მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით.
5.2. შემსყიდველის მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე, ხელს აწერს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი პირი არის სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი **მიხეილ ქევხიშვილი**.
6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული სამუშაოების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.
6.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული სამუშაო იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს დეფექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის გამოსწორება.

8. ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება **10 სამუშაო დღის** განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9. ფასები

9.1. მოსაწოდებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში**.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან

დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10% - ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0.02% ოდენობის შესაბამისი თანხით.
11.2. ხელშეკრულების 4.4. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მოწოდებული სამუშაოების ღირებულების 0.02% - ის შესაბამის თანხით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
11.3. ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
11.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.
11.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.
11.6. იმ შემთხვევაში, თუ 11.1. და 11.2. პუნქტების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამურმა თანხამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
11.7. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.
11.8. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
12.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
12.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

13.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 30 მაისის ჩათვლით**.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე.

№	საქონლის დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	კარების აღდგენა	300
2	ღობის შეკეთება	500
	ჯამი:	**800**
	საპენსიო	20.40
	საშემოსავლო	200
	სულ:	**1,020.40**

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	**ფ.პ. ვასილ ჯალიაშვილი**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგარიში: 200122900 კოდი: 220101222	**პ/ნ 01001023827** მომსახურე ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი" ტელ: 593 24 08 66 ბ.კ. – BAGAGE22 ა.ა. –GE50BG0000000100623442
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**ფიზიკური პირი** _____ ვასილ ჯალიაშვილი

Vasil Jaliashvili 01001023827

Digitally signed by Vasil Jaliashvili
Date: 2023.04.11 10:50:39

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო